ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. მაისის 28. № 9 ტფილისი

1548

## შინაარსი

სახელმწიფო წყობილება

84. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებული უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების დამტკიცების შესახებ.

85. საქართველოს სსრ კოდექსების იმ ცვლილებების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

86. 1934 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.

ფინანსები

87. საქართველოს სსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

## სახელმწიფო წყობილება

### 84. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-3 სესიისა)

**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებული უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 29 მუხ. თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ყველა ის ქვემოდ მოყვანილი დადგენილება და სხვა აქტი, რაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო ამავე კომიტეტის სესიებს შუა დროის განმავლობაში.

სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის დარგში.

1. მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებების მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებთან არსებულ ხელშემწყობ ბრიგადებად რეორგანიზაციის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 157).

ეროვნული

2. წითელგვარდიელების და წითელ პარტიზანების კატეგორიისათვის მოქალაქეთა მიკუთვნების პირობების შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 21, მუხ. 191).

3. ქალაქ სენაკში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 235).

4. ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების მე-4 მუხლისა, მე-12 მუხლის მე-3 ნაწილისა, მე-14, 15, 16, 18, 19 და 21 მუხლებისა, და 23 მუხლის შენიშვნისა და მე-III კარის სათაურის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 236).

5. სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 237; 1933 წ. № 12, მუხ. 148).

6. სასოფლო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების 23 მუხლის მე-3 ნაწილისა, 24, 25, 27, 28 და 30 მუხლებისა და 32 მუხლის შენიშვნის და მე-IV კარის სათაურის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 238).

7. ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების მე-4 მუხლისა და სხვა მუხლების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 239).

8. ქალაქის მუშათა და გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების 42—45 მუხლების შეცვლისა და ამავე დებულებისათვის 45¹—45⁵ მუხლების დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 27).

9. დებულება საქალაქო საბჭოების სადეპუტატო ჯგუფების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 28).

10. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში საგზაო განყოფილებების მოწყობის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 2 მუხ. 29).

11. საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების 1-ლი, მე-9 და 10 მუხლების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 5, მუხ. 65).

12. სასროლო სანადირო და სასპორტო იარაღის, სასროლო მასალის და ფეიერვერკების ვაჭრობისა, ამ იარაღის და საამისო სასროლო მასალის შეძენის, შენახვის და გამოყენებისა, აფეთქებადი ნივთიერების და დეტონადი საგნების გაცემისა და პიროტექნიკური საწარმოს და სასროლო ტირების გახსნის წესის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 5, მუხ. 66).

13. დებულება საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 8, მუხ. 108).

14. დებულება საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო და საქალაქო სამმართველოების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 8, მუხ. 109).

15. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულების 1-ლი მუხლისა და მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 9, მუხ. 110).

16. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 1-ლი, მე-3, 6, 9, 12, 13, 14 და 24 მუხლების შეცვლისა და ამ დებულებისათვის $14^{1}$ მუხლის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 9, მუხ. 111).

17. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების დებულების 1-ლი მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 9, მუხ. 112).

18. ქალაქ ხონში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 14, მუხ. 196).

19. საბჭოთა არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის ინსტრუქციის მე-7 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 16, მუხ. 207).

20. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სისტემის ჩატარების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 246, 1934 წ. № 1, მუხ. 6).

21. დებულება სასოფლო საბჭოების კულტურულ-საგანმანათლებლო სექციების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 20, მუხ. 269).

22. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში ჯანმრთელობის განყოფილებების დაარსების შესახებ. (კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 1).

23. ქალაქ ახალციხეში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ. (კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 2).

### სახალხო მეურნეობის საერთო საკითხების დარგში.

24. პირველადი კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის შესახებ. (კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 11).

### სამოქალაქო სამართლის დარგში.

25. უმეთვალყურო და ეული საქონლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 24, მუხ. 295).

### მრეწველობის დარგში.

26. სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 31; № 18, მუხ. 247).

27. სარეწაო კოოპერაციის დებულების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 1, მუხ. 11, № 9, მუხ. 116).

### მიწის, ტყის, წყლის და სოფლის მეურნეობის დარგში.

28. დებულება კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების შესახებ. (კან. [კრ]. 1932 წ. № 20, მუხ. 160).

29. იმ საადგილმამულო დავების და ყველა საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც დაკავშირებულია კოლმეურნეობების მიწათსარგებლობასთან, რესპუბლიკანური და სარაიონო კომისიების დაარსების შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 23, მუხ. 221; 1934 წ. № 1, მუხ. 17).

30. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის წყალთა სარგებლობის წესისა და წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათ დამხმარე გამართულობათა დაცვის საკითხების თაობაზე სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 32).

31. სავალდებულო აგრონომიული წესების დამყარების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 7, მუხ. 94).

32. დებულება სასოფლო აგრო-ზოორწმუნებულთა შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 10, მუხ. 131).

33. ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის თაობაზე გამოცემული დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 12, მუხ. 155).

34. მებამბეობის სფეროში დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლიდან გამომდინარე დავალებების უკეთესად შესრულებისათვის დაპრემიერების შესახებ. (კან. კრ. 1923 წ. № 12, მუხ. 156).

35. დებულება სადაზღვეო სათესლე ფონდების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 22, მუხ. 289).

36. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის და სხვ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების მტკიცე ვალდებულებათა პირველად შეუსრულებლობის გამო გადასახდელის დადების წესის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 25, მუხ. 323).

### სანადირო და სათევზე მეურნეობის დარგში.

37. საქართველოს სსრ სათევზე მეურნეობის მმართველობის სფეროში საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის ფუნქციების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 1, მუხ. 15).

### ვაჭრობის და მომარაგების დარგში.

38. სამინდე გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 34; № 4, მუხ. 57; № 25 მუხ. 326).

### ტრანსპორტის დარგში

39. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულებისათვის $12^1$ მუხ. დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 24, მუხ. 303).

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კომუნალური და საბინაო მეურნეობის დარგში

40. სამუშაოზე სხვა ადგილას გადაყვანისა, მიღებისა და გაგზავნის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 168; 1933 წ. № 1, მუხ. 20).

41. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 172; 1933 წ. № 24, მუხ. 305; № 25 მუხ. 331).

42. საბინაო-სასანიტარო ნორმის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 37).

43. კომუნალური საცხოვრებელი ფონდის თაობაზე გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლისა და იმავე დადგენილებისათვის $7^1$ მუხლის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 2, მუხ. 38).

44. მცირეძალოვან საბინაო საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა დაფინანსების სპეციალური საქალაქო ფონდების შექმნის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 12, მუხ. 160).

45. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების მე-2 მუხლის შეცვლისა და მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-14 მუხლის გაუქმების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 252).

46. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 253).

47. სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 21, მუხ. 276).

48. მწერალთა და კომპოზიტორთა საბინაო უფლებების შესახებ. (კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 26).

### ფინანსების დარგში.

49. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 21, მუხ. 202; № 23, მუხ. 226; 1933 წ. № 10, მუხ. 141; № 12, მუხ. 163; № 18 მუხ. 254).

### შრომის დარგში.

50. შრომის ჭაპანზიდვის ბეგარის ჩატარების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 5, მუხ. 75).

50. სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 12, მუხ. 166; 1934 წ. № 1, მუხ. 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

52. 1933 წ. საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 13, მუხ. 173).

53. საკუთარი მეურნეობის მქონე მუშათა, მოსამსახურეთა და უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა შრომის საგზაო ბეგარაში მონაწილეობის წესის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 17, მუხ. 240).

54. შრომის გმირთა შესახებ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 შენიშვნისა და მე-6 მუხლის რედაქციის შეცვლისათვის. (კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 256).

55. საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გაერთიანებისა და გაერთიანების წესის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 25, მუხ. 332).

## ქორწინების, ოჯახის და მეურვეობის დარგში.

56. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 180).

## განათლების დარგში.

57. საპედაგოგო კადრების გამოყენების შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 22, მუხ. 213).

58. საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს დებულების 34 და 36 მუხლების შეცვლისა და 37 მუხლის გაუქმების შესახებ. (კან. კრ. 1934 წ. № 22, მუხ. 21).

59. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 4, მუხ. 61).

60. სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის რეორგანიზაციისა და ქალაქ ქუთაისში გადაყვანის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 4, მუხ. 62).

61. კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 6, მუხ. 90).

62. ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 21, მუხ. 285).

63. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ. (კან კრ. 1933 წ. № 25, მუხ. 334).

64. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა/კ. ფილიალის საქართველოს განყოფილების მოწყობის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 26, მუხ. 344).

65. კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის დაწესებულებათა მოსაწყობად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისათვის მეტეხის ციხის გადაცემის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 26, მუხ. 345).

66. საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის და განვითარების შესახებ. (კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 31).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

67. საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კურორტების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 1, მუხ. 25; № 16, მუხ. 228).

68. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო საქართველოს სასანიტარო მდგომარეობისა და ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 11, მუხ. 147).

69. სამედიცინო დარგის მომუშავეთა პროფესიონალური მუშაობისა და უფლება-მოვალეობათა თაობაზე გამოცემული დადგენილების 32 მუხლის შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის $32^1$ და $32^2$ მუხლების დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 261).

## სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

70. დებულება პერსონალური პენსიების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 3, მუხ. 47; № 16, მუხ. 229; № 18, მუხ. 262).

71. დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ. (კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 32).

## სისხლის სამართლის დარგში.

72. სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 23, მუხ. 232).

73. დარღვევის ობიექტის ღირებულებასთან ჯერადობითი შეფარდებით დასადებ ფულად გადასახდელთა რაოდენობის გამოანგარიშების საფუძვლების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 5, მუხ. 78; № 25, მუხ. 335).

## სასამართლო წყობილების და სამართლის წარმოების დარგში.

74. ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა საწარმოში მოქმედი საწარმოო-სამხანაგო სასამართლოების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 188; 1933 წ. № 5, მუხ. 81).

75. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 21, მუხ. 209; 1933 წ. № 5, მუხ. 80).

76. საქართველოს სსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 4, მუხ. 64).

77. სისხლის სამართლის საქმეთა ქვემდებარეობის თაობაზე გამოცემული 1931 წ. ნოემბრის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 10, მუხ. 146).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1934 წ. მარტის 29.
ტფილისი.

---

## 85. დადგენილება ც. ა. კ.

### მე-VI მოწვევის მე-3 სესიისა

**საქართველოს სსრ კოდექსების იმ ცვლილებების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი კოდექსების ცვლილების შესახებ, რაც სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 ის თარიღითა და 77 №-ით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლისამებრ (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

### სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

1. 22 მუხლის რედაქციის შეცვლისა და $22^1$ და 22 მუხ. დანართის გაუქმების შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 17. მუხ. 131).

2. $44^1$ მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 17, მუხ. 132).

3. 101 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 240).

4. $44^2$ მუხლის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 1, მუხ. 6).

5. 413 და 414 მუხლების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 1, მუხ. 7).

6. კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 5, მუხ. 68).

7. $153^1$ მუხლის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 5, მუხ. 69).

8. 114 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 25, მუხ. 315).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. „დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების თაობაზე" გამოცემული დეკრეტის (კოდექსის 172 მუხ. დანართი) მე-2 მუხლის „ნ" პუნქტის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1933 წ. № 25, მუხ. 316).

10. 430 მუხლის დანართის—გახსნილი მემკვიდრეობის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებათა, თანამდებობის პირთა და სახლის ადმინისტრაციის მიერ საფინანსო ორგანოებისათვის ცნობების წარდგენის წესის თაობაზე—ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 25, მუხ. 317).

11. ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 26, მუხ. 338).

12. ზოგიერთი მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 26, მუხ. 339).

### მიწის კოდექსი.

94 მუხ. შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 13, მუხ. 94).

### სამთო კოდექსი.

87 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ № 1, მუხ. 9).

### საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი.

129 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 179).

### სისხლის სამართლის კოდექსი.

1. $136^{1}$ და $200^{1}$ მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 13 მუხ. 112).

2. $136^{1}$-ა, $136^{1}$-ბ და $136^{1}$ გ მუხლების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 17, მუხ. 141), იმ ნაწილში, რაც $136^{1}$-ბ მუხლს ეხება.

3. სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-7 მუხლის „ბ" პუნქტის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 182).

4. $103^{2}$ მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20 მუხ. 181).

5. სამხედრო დანაშაულთა დებულების (კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლისა და კოდექსის $127^{1}$, $127^{2}$ და $127^{3}$ მუხლების ამოშლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 21, მუხ. 207).

6. $61^{1}$ მუხლის რედაქციის შეცვლისა და 61 მუხლის უკანასკნელი ნაწილის ამოშლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 23, მუხ. 231).

7. 39 მუხ. მე-4 ნაწილისა და 49 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 254).

8. 142 მუხ. შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 255).

9. ზოგიერთი მუხლის ნუმერაციის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 5, მუხ. 77).

ეროვნული

10. 61 მუხლისათვის მე-3 ნაწილის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 6, მუხ. 92).

11. $31^{2}$ მუხლის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 7, მუხ. 105).

12. 64 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 7, მუხ. 106).

13. 181 მუხლის მე-3 ნაწილის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 7, მუხ. 107).

14. 137 მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 9, მუხ. 12[illegible]).

15. 202 და $202^{1}$ მუხლების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 10, მუხ. 145).

16. $136^{1}$-ა და $136^{1}$-ბ მუხლების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 12, მუხ. 167).

17. $71^{1}$ და $84^{1}$ მუხლების დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 263).

18. 85 მუხ. მე-2 ნაწილის სანქციის ბოლო სიტყვების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 21, მუხ. 288).

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

1. 71 მუხლის მე-2 ნაწილის და 304 მუხლის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 185).

2. 309 მუხლის „ა" პუნქტის მე-5 ქვეპუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 186).

3. 23, 26, 188, 295 და 297 მუხლების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 5. მუხ. 79).

4. 23 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 265).

5. 350 მუხლის „ბ" პუნქტის შეცვლისა და ამავე მუხლისათვის „$ბ^{1}$" მუხლის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 266).

6. XXXI თავისათვის $336^{1}$, $336^{2}$ და $336^{3}$ მუხლების დამატების შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 25, მუხ. 336).

7. $336^{4}$ მუხლის დამატების შესახებ. (კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 36).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

1. 346 მუხლის 1-ლი ნაწილის, 353, 355, 359 და 370 მუხლების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1933 წ. № 13, მუხ. 175).

2. $59^{2}$ და 455 მუხლების შეცვლის შესახებ. (კან. კრ. 1932 წ. № 20, მუხ. 187).

3. 336 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 37).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. მარტის 29.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

## 86. დადგენილება ც. ა. კ.

(მე-VI მოწვევის მე-3 სესიისა)

**1934 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის იმ უდიდესმა წარმატებამ, რასაც მუშათა კლასმა მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უზრუნველყო კავშირის ყველა ნაციონალურ რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიაც, საწარმოო ძალთა მაქსიმალური განვითარება, რაც გამოიხატა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მნიშვნელოვან ზრდაში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, სოციალურ-კულტურული მშენებლობა და სხვ.).

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარება მოითხოვდა ყოველწლიური ზრდის უფრო ჩქარ ტემპებს კავშირის ნაციონალურ რაიონებში, „რომლებიც მიდიან თავიანთი ჩამორჩენილობის საბოლოო ლიკვიდაციის გზით“.

მხოლოდ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (პირველი ხუთწლედი) დაბანდებანი საქართველოს სახალხო მეურნეობაში გაიზარდა 78,5 მილიონი მანეთიდან 1928/29 წელს 360 მილიონ მანეთამდე 1933 წელს, ე. ი. ოთხნახევარჯერ: მრეწველობაში—36 მილიონიდან 146 მილიონამდე, სოფლის მეურნეობაში—13,3 მილიონიდან 84,5 მილიონამდე და სხვ.

შექმნილია მთელი რიგი ახალი დარგი მრეწველობაში. სამრეწველო პროდუქცია პირველი ხუთწლედის განმავლობაში 1927/28 წლიდან 1933 წლამდე გაიზარდა 820%-ით; სოფლის მეურნეობა განვითარდა ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ხაზით; განსაზოგადოებულ სექტორს (კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი) უჭირავს მთელი სათესი ფართობის 66%, ხოლო კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 165 ათასი მეურნეობა.

ეს მიღწევები ჰქმნიან პირობებს სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო მეტი გაშლისათვის მეორე ხუთწლედში. 1934 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდა გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე წინა წლებში. კაპიტალური დაბანდება მხოლოდ 1934 წლისათვის შეადგენს მთელი [illegible]ი კაპიტალური დაბანდების 66%-ს, რაც საქართველოს სახალხო მეურნეობას მოხმარდა პირველი ხუთწლედის განმავლობაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესია ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილ 1934 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას შემდეგი სახით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში.

1. კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს მთელ სახალხო მეურნეობაში განისაზღვროს 534 მილ. მანეთის რაოდენობით, წინაალმდეგ 353,8 მილ. მანეთისა 1933 წელს.

აქედან:

| | | |
|---|---|---|
| ელექტრომშენებლობა | 57 | მილ. მან. |
| მრეწველობა | 164,9 | „ „ |
| სოფლის მეურნეობა | 91,3 | „ „ |
| წყალთა მეურნეობა | 20 | „ „ |
| ტრანსპორტი | 76,3 | „ „ |
| კავშირგაბმულობა | 4,1 | „ „ |
| ვაჭრობა და მომარაგება | 10,9 | „ „ |
| განათლება | 18,6 | „ „ |
| ჯანმრთელობის დაცვა | 6,6 | „ „ |
| საკურორტო მშენებლობა | 18,8 | „ „ |
| კომუნალურ-საბინაო მშენებლობა | 50 | „ „ |

2. განხორციელებულ იქნეს სასტიკი საფინანსო დისციპლინა და აიკრძალოს გეგმის გარეშე მშენებლობა, გარდა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ობიექტებისა და ტიტულებისა.

3. მიენდოს სახალხო კომისართა საბჭოს დამატებით განსაზღვროს ადგილობრივი მრეწველობის კაპიტალური დაბანდებანი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ საწარმოთ, რომლებიც ფართო მოხმარების საგნებს და საამშენებლო მასალას უშვებენ.

4. უზრუნველყოფილ იქნეს წმინდა მშენებლობის ღირებულების შემცირება 15%-ით.

მრეწველობა.

1. საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქციის საერთო ზრდა 1934 წლისათვის განისაზღვროს 22%-ით (329,6 მილ. მანეთიდან 1933 წ. 402,3 მილ. მანეთამდე 1934 წელს). აქედან: საწარმოო საშუალებათა ზრდა—34,2%-ით და სამომხმარებლო საშუალებათა ზრდა—10,9%-ით.

2. მიღებულ იქნეს შემდეგი საწარმოო დავალებანი მრეწველობის უმთავრეს დარგთა ხაზით:

| | | |
|---|---|---|
| ელექტროენერგიის გამომუშავება | 332 | მილ. კვტ. |
| ქვანახშირი (ტყიბული, ტყვარჩელი) | 475 | ათ. ტონა |
| ბათომის ნავთსახდელი ქარხნები | 121,7 | მილ. მან. |
| მარგანეცი | 950 | ათ. ტონა |
| მანქანათამშენებლობა | 17,6 | მილ. მან. |
| გუმბრინი | 100 | ათ. ტონა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ბარიტი | 30 | ათ. ტონა |
| ცემენტი | 93 | ათ. ტონა |
| სამშენებლო აგური სახელმწიფო მრეწველობა) | 66 | მილ. ცალი |
| კირი (სახელმწიფო მრეწველობა) | 55 | ათ, ტონა |
| ხე-ტყის მასალის დამზადება | 742 | ათ. კბმ. |
| სახერხი მასალა | 171 | ათ. კბმ. |
| აბრეშუმის ქსოვილი | 2.108 | ათ. მეტრი |
| მატყლის ქსოვილი | 1338 | „ „ |
| ფეხსაცმელი | 1 | მილ. წყვილი |
| სამკერვალო მრეწველობა | 35,7 | მილ. მან. |
| პაპიროსი და თამბაქო (მოსაწევი ერთეულებად) | 5,8 | მილ. ცალი |
| სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია | 133 | მილ. მან. |

3. შემცირებულ იქნეს მძიმე მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება 9,7%-ით, მომარაგების სახკომისარიატის— 4%-ით და მსუბუქი მრეწველობის— 1,6%-ით, და ამავე დროს მიღწეულ იქნეს პროდუქციის (სამკერვალო, საფეიქრო, ფეხსაცმელების და სხვ.) უეჭველი გაუმჯობესება.

### სოფლის მეურნეობა

1934 წლის მოსავლისათვის სათესი ფართობის საერთო რაოდენობა განისაზღვროს 930,1 ათ. ჰექტარით; აქედან: საგაზაფხულო კულტურები—654 ათ. ჰექტ. და საშემოდგომო—276 ათ. ჰექტარი.

მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ხორბალი | 304,7 | ათ, ჰექტ. |
| აქედან: საგაზაფხულო | 54,4 | „ „ |
| სიმინდი | 385,6 | „ „ |

ტექნიკურ კულტურათა სათესი ფართობი განისაზღვროს სულ 41.755 ჰექტარის რაოდენობით,

| | | |
|---|---|---|
| აქედან: თამბაქო | 19,2 | ათასი ჰექტარი |
| ბამბა | 7,15 | „ „ |
| შაქრის ჭარხალი | 4,54 | „ „ |

ოთხფეხი საქონლის საკვებ კულტურათა სათესი ფართობი განისაზღვროს 33,2 ათ. ჰექტარის რაოდენობით; აქედან სათესი ბალახი—27,52 ათასი ჰექტარი.

მრავალწლიან ნარგავთა ფართობი განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

| | | |
|---|---|---|
| ჩაის პლანტაციები | 34,1 | ათასი ჰექტ. |
| ციტრუსები | 2,6 | „ „ |
| ვენახები | 38,2 | „ „ |
| ბაღები | 25,3 | „ „ |

სატრაქტორო პარკის ძალოვნება 20,1 ათას ცხენის ძალიდან 1933 წელს მიღწევინებულ იქნეს 1934 წ. 25,3 ათას ცხენის ძალამდე.

მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდების საჭიროების მიზნით დაწესდეს შემდეგი დავალება მოსავლიანობის ხაზით (ჰექტარამდე):

| | | |
|---|---|---|
| ხორბალი, საშემოდგომო | 9,8 | ცენტნერი |
| „ საგაზაფხულო | 8,0 | „ |
| ქერი საშემოდგომო | 10,2 | „ |
| „ საგაზაფხულო | 8,9 | „ |
| თამბაქო | 7,7 | „ |
| სიმინდი | 0,2 | „ |
| ბამბა | 9,0 | „ |

ოთხფეხი საქონლის რაოდენობა საბჭოთა მეურნეობებში და საკოლმეურნეო ფერმებში აყვანილ იქნეს:

| | | |
|---|---|---|
| მსხვილფეხა რქოსანი საქონელი | 40,2 | ათას სულამდე |
| აქედან ძროხა | 19,6 | „ „ |
| ღორი | 39,1 | „ „ |
| აქედან: დედა-ღორები | 5,9 | „ „ |
| ცხვარი | 261,1 | „ „ |
| აქედან: დედა-ცხვრები | 157,9 | „ „ |
| ცხენი | 2,38 | „ „ |
| აქედან ჭაკები | 1,14 | „ „ |

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა განისაზღვროს:

| | | |
|---|---|---|
| რკინის გზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის რაოდენობა | 3.518 | ათასი ტონა |
| და საზღვაო „ „ | 6.055 | „ „ |
| მგზავრთა გადაყვანა: რკინის გზით | 18,7 | მილ. მგზავრი |
| „ „ ზღვით | 910 | ათასი მგზავრი |

1934 წ. გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს რკინის გზის ტრანსპორტის გამტარებლობის რეკონსტრუქცია ტფილის-სამტრედიის მიმართულებით.

ხაშურ-ნავთლუღის უბნის ელექტროფიკაციის დამთავრება მიმდინარე წლის აგვისტოს 1-თვის, შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა ოჩემჩირიდან სოხუმამდე (კელასური) და მესამე კვარტალში ბროწეულა-გუმბრინის შტოს ექსპლოატაციის დაწყება.

ურელსო გზათა კაპიტალური დაბანდებანი განისაზღვროს 11.976 ათასი მანეთის რაოდენობით და ფართოდ მოეწყოს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა საგზაო მშენებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქონლის ბრუნვა.

1. ცალობითი საქონლის ბრუნვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებასთან ერთად, განისაზღვროს 1.366 მილ. მანეთის რაოდენობით მოქმედი ფასების კვალობაზე (ზრდა 36,6%-ით).

2. საზოგადოებრივი კვების ბრუნვა განისაზღვროს 120 მილ. მანეთით.

## სოციალურ-კულტურული მშენებლობა.

1. ხარჯების მოცულობა განათლების სფეროში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით განისაზღვროს 131.150 ათასი მანეთის რაოდენობით, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 18.688 ათას მანეთის რაოდენობით; აქედან სასკოლო მშენებლობისათვის—8.805 ათასი მანეთი; ამავე დროს ფართოდ მოეწყოს მოსახლეობის მონაწილეობა სასკოლო მშენებლობაში; კაპიტალური დაბანდებანი კადრების მომზადებისათვის განისაზღვროს 4.606 ათასი მანეთით, მეცნიერებისათვის 2.867 ათასი მანეთით, ხელოვნებისათვის 1.410 ათასი მანეთით.

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი კონტინგენტები:

| | | |
|---|---|---|
| პოლიტექნიკური სკოლის 1 კონცენტრისათვის... | 432 | ათასი კაცი |
| „ „ 2 „ | 132 | „ „ |
| „ „ 3 „ | 9,2 | „ „ |
| ტექნიკუმებისათვის . . . . . . . . . | 23,7 | „ „ |
| მუშფაკებისათვის . . . . . . . . . . | 4,9 | „ „ |
| უმაღლესი სკოლებისათვის . . . . . . . . | 10,1 | „ „ |

2. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები (უკურორტებოდ) განისაზღვროს 34.910 ათასი მანეთით (სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით); აქედან საავადმყოფოთა მშენებლობის კაპიტალური დაბანდებანი განისაზღვროს 6.835 ათასი მანეთით.

საკურორტო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა დამტკიცებულ იქნეს 18.802 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც უმთავრესად მოხმარდეს კურორტებას კეთილმოწყობას, საკურორტო მეურნეობის ორგანიზაციას და სხვ.

3. კომუნალური მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა განისაზღვროს 50 მილ. მანეთით, ხოლო აღმასკომების და კოოპერაციის საბინაო მშენებლობისა—13.491 ათასი მანეთის რაოდენობით.

## ბიუჯეტი.

საქართველოს სსრ სახელწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნეს 214.298 ათასი მანეთისა, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები—233.628 ათასი მანეთის რაოდენობით.

მეორე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას საფუძვლად უნდა დაედვას მე-XVII ყრილობის ისტორიულ

გადაწყვეტილებათა სრული რეალიზაცია და ამხ. სტალინის მოხსენებით... უზრუნველჰყოფს ახალ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობაში, კიდევ უფრო ასწევს მუშათა და გლეხთა მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობას და გადააქცევს კოლმეურნეებს შეძლებულ კოლმეურნეებად და კოლმეურნეობებს კი—ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად.

კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მუშაობის მთელი სისტემის ორგანიზაციულად გარდაქმნას (ფუნქციონალობის ლიკვიდაცია, ზედმეტი რგოლეულების გაუქმება, პასუხისმგებლობის გაძლიერება და სხვ.).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია იწონებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებას მსუბუქი მრეწველობისა და მომარაგების სახალხო კომისარიატების სისტემაში შემავალი მთელი რიგი ტრესტების ლიკვიდაციის შესახებ და წინადადებას აძლევს მას განაგრძოს მუშაობა ამ მიმართულებით და დაამთავროს მუშაობა აპარატის გარდაქმნისათვის მაქსიმალურად მოკლე ვადაში.

ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის განვითარების საკითხს ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე და მიღწეულ უნდა იქნეს მიმდინარე წელს მკვეთრი გარდატეხა ამ სფეროში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სცნობს, რომ კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების საქმეში მიღწეულმა წარმატებებმა მოამზადეს მატერიალური ბაზისი მეორე ხუთწლედის ძირითადი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანის განსახორციელებლად—უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1934 წ, მარტის 29.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 84 №-ში 1934 წ. აპრილის 10.

---

## ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

### 87. დადგენილება ც. ა. კ.

(მე-VI მოწვევის მე-3 სესიისა)

**საქართველოს სსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯე-

ტის შემოსავალ-გასავლის ჯუმლი 214.298,5 ათასი მანეთის საბალანსო თანხის რაოდენობით.

## ა. შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი.

| | |
|---|---|
| ა) განსაზოგადოებული სექტორის საგადასახადო შემოსავალი | 142.981,0 |
| ბ) მოგების ანარიცხები | 10.525,0 |
| გ) მოსახლეობის სახსართა მობილიზაცია | 59,875,5 |
| დ) სხვადასხვა შემოსავალი | 917,0 |

## ბ. გ ა ს ა ვ ა ლ ი.

| | |
|---|---|
| ა) სახალხო მეურნეობის დაფინანსება | 51.999,0 |
| ა ქ ე დ ა ნ: | |
| 1) მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობა | 13.850,0 |
| 2) ელექტროფიკაცია | 140,0 |
| 3) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობა | 7.856,0 |
| 4) მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობა. | 100,0 |
| 5) კინო-ფოტომრეწველობა | 4.185,0 |
| 6) სასოფლო მეურნეობა (ტრესტირებული საბჭოთა მეურნეობანი, საკოლმეურნეო მშენებლობა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ღონისძიებანი, წყალთა მეურნეობის ღონისძიებ.) | 18.199,0 |
| 7) სახელმწიფო ვაჭრობა | 1.688,0 |
| 8) კომუნალური მეურნეობა | 400,0 |
| 9) ურელსო ტრანსპორტი | 4.601,0 |
| 10) სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის საჭირო სხვა ხარჯები | 980,0 |
| ბ) სოც.-კულტურული ღონისძიებანი | 72.318,5 |
| ა ქ ე დ ა ნ: | |
| 1) განათლება | 55.778,5 |
| 2) ჯანმრთელობა | 13.783,0 |
| აქედან კურორტების დაფინანსება | 6.700,0 |
| 3) ფიზკულტურა | 122,0 |
| 4) სოციალური უზრუნველყოფა | 2.635,0 |
| გ) მმართველობა და რეგულირება | 4.556,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სახალხო კომისართა საბჭოს სარევიზიო ფონდი 375,0
ე) სხვა ფონდები . . . . . . . . . . . . . . . 1.500,0
ვ) სოც. დაზღვევის ანარიცხები . . . . . . . . 2.105,0
ზ) ადგილობრივ ბიუჯეტში გადასარიცხი სახსარი 81.445,0

2. ანარიცხები ბრუნვის გადასახადისა და საბიუჯეტო წანამატებისა საქართველოს სსრ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში განისაზღვროს 134.097,0 ათასი მანეთით; აქედან: ადგილობრივ ბიუჯეტში გადასადები ბრუნვის გადასახადის ანარიცხი 29.423,0 ათ. მან.

3. საქართველოს სსრ 1934 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის სრულიად მიღების უზრუნველსაყოფად:

ა). წინადადება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, იმ შემთხვევაში, თუ კვარტალური ანარიცხები სამეურნეო ორგანიზაციათა მოგებიდან არ შემოვა, ეს დაუყოვნებლივ მოახსენოს სახალხო კომისართა საბჭოს და წარუდგინოს თავისი მოსაზრებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს ბიუჯეტით გათვალისწინებული ანარიცხების მიღებას, აგრეთვე მოსაზრებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება და სავასავლო ნაწილის შეთანხმება საშემოსავლო წყაროებთან;

ბ) წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო კომისარიატს—სამეურნეო ანგარიშის მტკიცე განხორციელებით, თვითღირებულების შემცირებით და შრომის ნაყოფიერების გადიდებით სავსებით განახორციელოს დავალებათა მთელი პროგრამა და თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე (ანარიცხები მოგებიდან, ბრუნვის გადასახადი და სხვ.).

4. წინადადება მიეცეს ყველა კომისარიატს--განაგრძოს მუშაობა სამმართველო ხარჯების შემცირებისათვის როგორც საბიუჯეტო დაწესებულებებში, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებში და არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევინოს ამ დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის კანონით დაწესებული მტკიცე შტატები და ხარჯთაღრიცხვები.

5. დაევალოს საბჭოთა კონტროლის კომისიის ორგანოებს სისტემატური კონტროლი გაუწიონ იმას, თუ რამდენად მტკიცედ ასრულებენ სახელმწიფო დაწესებულებები და სამეურნეო ორგანიზაციები სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას სამუშაო ხელფასის ფონდის ხარჯვის შესახებ, და შრომის სასყიდლისა და სამუშაო ხელფასის ფონდის თვითნებურად გადიდებაში, აგრეთვე სამუშაო ხელფასის გაცემის დაყოვნებაში ყველა კონკრეტულად დამნაშავე პირი აძლიონ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—ფედერატიული ორგანოების მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ბრუნვის გადასახადის პროცენტული ანარიცხების განსაზღვრის შემდეგ—განსაზღვროს ბრუნვის გადასახადის პროცენტი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ ტფილისისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს შემდგომი მასური მუშაობის ფართო გაშლა მოსახლეობის სახსართა და განსაზოგადოებული სექტორის შემოსავლის მობილიზაციისათვის.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრ. საქ, ც. ა. კ-ის მდივანი თ. **ჟღენტი.**

1934 წ. მარტის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 85 №-ში 1934 წ. აპრილის 11.

---

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ის / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 17. პ/მ რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 1¼ ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი გადაეცა სტამბას 15/IV, ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/V. ტირაჟი 1.600.

მთავლიტი ს.—№ 31 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 754